MES 1 24 000001.1/1

12/01/2024

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
ბრძანება

N1.1/1

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში**, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს: **2024 წლის 15 იანვრიდან - 2024 წლის 22 იანვრის ჩათვლით;**
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში - მობილობის) მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: **2024 წლის 30 იანვრიდან - 2024 წლის 8 თებერვლის 18.00 საათამდე;**
გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა განისაზღვროს: **2024 წლის 12 თებერვლიდან - 2024 წლის 19 თებერვლის ჩათვლი თ.**

2. **დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.**
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის უფროსის - სალომე ჯაფარიძის 2024 წლის 12 იანვრის N18804 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი